პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2023 წლის ---- აგვისტო; ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი ქ. N62ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე N05.34.23.050 დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზ-ღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი ქ. N62ა -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე N05.34.23.050) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) $к^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი ქ. N62ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N 05.34.23.050 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

დადგენილების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი ქ. N62ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კN N05.34.23.050 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

განმცხადებელი შპს ,,გრინ ქეიფ რეზიდენსი'' (ს/N446987725);

დადგენილი კ2 კოეფიციენტი - 2,4

მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 4

მოთხოვნილი კ2=5,5;

საპროექტო ობიექტი - მრავალბინიანი;

ინიცირება - 2023 წლის 17 თებერვლის №14. 14230483

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, თამარ მეფის ქ. N62ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.34.23.050 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების მიზნით დადგენილების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი ს ს/შ **მამუკა რამიშვილი**